საქართველოს
სახალხო დამცველის აპარატი
OFFICE OF PUBLIC DEFENDER
OF GEORGIA

N 09-2/8807
31/08/2022

8807-09-2-2-202208311326

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის

საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ცოტნე ანანიძეს

ბატონო ცოტნე,

წინამდებარე კორესპონდენციით წარმოგიდგენთ ინფორმაციას, თქვენი 2022 წლის 18 აგვისტოს N09-02-16/527 წერილის (სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრაციის N 9437/22-18.08.22) საპასუხოდ, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გარემოს მისაწვდომობის საკითხებზე თემატურ მოკვლევას.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველი, როგორც ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ შესახებ გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციის დაცვის, პოპულარიზაციისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმი, საქმიანობის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კომპლექსურად გააზრებულ მისაწვდომობაზე. აღნიშნული, თავის მხრივ მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ გარემოზე, ჯანდაცვაზე, განათლებაზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე, ასევე სხვა სახის მომსახურებებზე წვდომას. საქმიანობის ფარგლებში, სახალხო დაცველი მუდმივად ხაზს უსვამს კანონმდებლობაში არსებითი ცვლილებების განხორციელების საჭიროებას, რაც ხელს უწყობს თემის აქტუალიზებას და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

2018 წელს, სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის ხარვეზები,“ რომელშიც აღინიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამებოდა გაეროს ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის მოთხოვნებს, ურთიერთწინააღმდეგობრივი იყო ეროვნულ დონეზე მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი რეგულაციები, რაც აფერხებდა უნივერსალური დიზაინის

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

მოთხოვნების პრაქტიკაში დანერგვას. შესაბამისად, არსებული მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით, გაიცა რეკომენდაციები გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. [1]

2019 წელს განხორციელდა ცვლილებები საქართველოს კანონებში-„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსსა“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.“ შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობის, არქიტექტურული/გეგმარებითი ელემენტების გაუთვალისწინებლობისთვის საჯარიმო სანქციები გაიწერა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კი შეიცვალა და დაკონკრეტდა პასუხისმგებელი სუბიექტები. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ საკითხის შესწავლა ცხადყოფს, რომ პრობლემას წარმოადგენს აღნიშნული ნორმების პრაქტიკაში აღსრულება და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოთა მხრიდან პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება.[2]

მოგეხსენებათ, 2020 წლის 4 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ,,მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები,“ რომლითაც გაუქმდა 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება. მოცემული რეგლამენტით, რომელიც ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან, გაწერილია ტექნიკური კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს ადგილების/მიწის ნაკვეთების, მოწყობილობების/საშუალებების, შენობებისა და ელემენტების მისაწვდომობის უზრუნველყოფა. დადგენილების თანახმად, აშენებული და მშენებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი დასახელებულ დოკუმენტთან, იმ ვადებში, რომლებიც განისაზღვრება მისაწვდომობის ეროვნული გეგმით. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცების მიუხედავად, ეფექტურად არ ხორციელდება მისი აღსრულება. რაც განპირობებულია იმით, რომ არ ჩატარებულა აქტიური საინფორმაციო კამპანია ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე. ასევე, ამ დრომდე არ შემუშავებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა.[3]

,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც მიღებულ იქნა 2020 წლის 14 ივლისს, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის დანერგვა ან/და უნივერსალური დიზაინის შესაბამისად მოწყობა, ასევე, შეიმუშაოს და დაამტკიცოს ადაპტირების სამოქმედო გეგმა. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება უკვე აშენებულ

---

[1] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის ხარვეზები.“ 2018 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Kn42OI> [ბოლოს ნანახია 29.08.2022].

[2] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის ხარვეზები.“ 2018 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Kn42OI> [ბოლოს ნანახია 29.08.2022].

[3] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი.“ თავი 23. ქვეთავი 23.3. ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Kn5xwk> [ბოლოს ნანახია 29.08.2022].

შენობებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომა. კერძოდ, არ ტარდება ექსპერტიზა არსებული ნაგებობების რეკონსტრუქციის შესაძლებლობის შესაფასებლად და არ ხდება ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. პრაქტიკაში განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობაც.

კვლავ შეუსწავლელია მისაწვდომობასთან მიმართებით ეროვნულ დონეზე არსებული საჭიროებები, როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე და არ იწარმოება გაუმჯობესებული ფიზიკური გარემოს მაჩვენებელი სტატისტიკა. დღის წესრიგში დგას უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე, მოქმედ სტანდარტებზე შესაბამისი არქიტექტურული და ზედამხედველობის სამსახურის პერსონალის უწყვეტი გადამზადების საჭიროებაც. მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა,[4] მუნიციპალიტეტებს არ შეუმუშავებიათ სამოქმედო გეგმები ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თემატური სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სათანადოდ არ არიან ჩართულნი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები/ამ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები.[5]

პრობლემას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის როგორც აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებების, ისე, სხვა საჯარო დაწესებულებების მისაწვდომობა. ხაზგასასმელია, რომ მხოლოდ რამდენიმე სასამართლო შენობაა მისაწვდომი გადაადგილების სირთულის მქონე პირებისათვის. ამ შემთხვევებშიც კი, პანდუსების უმრავლესობა არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტს. ამასთანავე, არ არის გათვალისწინებული სენსორული და ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირთა საჭიროებები. საყურადღებოა, რომ მისაწვდომობის აუდიტის პროცესში ჩართული 65 შენობიდან, მინიმალურ სტანდარტს მხოლოდ 7 (4%) აკმაყოფილებდა.[6]

სერიოზულ გამოწვევად რჩება შშმ პირთა ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებზე, საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე, სერვისებსა და მობილურ აპლიკაციებზე წვდომა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ამ დრომდე საქართველოში არ არის მიღებული ევროკავშირის მიდგომასთან ჰარმონიზებული შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი კომპონენტები, ყველა სახელმწიფო უწყებისთვის არ არის დანერგილი

---

[4] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის ხარვეზები.“ 2018 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:<https://bit.ly/39etaU1> [ბოლოს ნანახია 29.08.2022].

[5] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი.“ თავი 22. ქვეთავი 22.6. ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Tgo1Tp> [ბოლოს ნანახია 29.08.2022].

[6] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი.“ თავი 22. ქვეთავი 22.4. ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CB7bsA> [ბოლოს ნანახია 29.08.2022].

,,ონლაინ გამოყენებადობა და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი“ (მათ შორის WCAG სტანდარტი, AA დონე), ასევე, არ ხორციელდება ამ მიმართულებით ზედამხედველობა.[7]

სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგი ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო სექტორში მისაწვდომობის ხარვეზები სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ხარისხიანი და უწყვეტი ინკლუზიური განათლების მიწოდებას. განათლების ყველა საფეხურზე პრობლემურია როგორც ინფრასტრუქტურაზე, ისე სასწავლო მასალებსა და რესურსებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შშმ) მოსწავლეთა/სტუდენტთა წვდომა.[8] სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის მექანიზმის საქმიანობა ცხადყოფს, რომ ადგილი აქვს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ობიექტებსა და სერვისებზე წვდომის პროცესში. მათ შორისაა: საბანკო ფილიალების, სანოტარო ბიუროების მიუწვდომლობა, უსინათლო პირისთვის ბრაილის შრიფტის ან ალტერნატიული ფორმის მეშვეობით კომუნიკაციის წარმოებაზე უარის თქმა და სხვა.[9] დაბალია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებელიც, რაც გარკვეულწილად განპირობებულია სამუშაო ადგილებზე გონივრული მისადაგების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე დამსაქმებლების არასაკმარისი ინფორმირებულობით.[10]

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების, როგორც განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის მართლმსაჯულებაზე (პრობლემურია როგორც პოლიციისა და პროკურატურის, ისე სასამართლოების, იურიდიული დახმარებისა და სანოტარო ბიუროების მისაწვდომობა) და სამედიცინო სერვისებზე/მანიპულაციებზე წვდომა.[11]

---

[7] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი.“ თავი 23. ქვეთავი 23.3. ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Kn5xwk> [ბოლოს ნანახია 29.08.2022].

[8] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი.“ თავი 23. ქვეთავი 23.2. ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Kn5xwk> [ბოლოს ნანახია 29.08.2022]. ასევე, იხილეთ: სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ,,ინკლუზიური განათლება საპილოტე საჯარო სკოლებში.“ 2019 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pSCuXX> [ბოლოს ნანახია 29.08.2022].

[9] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. 2020 წელი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KodsJU> [ბოლოს ნანახია 29.08.2022]; სახალხო დამცველის რეკომენდაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ. 2018 წელი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AoRJgm> [ბოლოს ნანახია 29.08.2022]; სახალხო დამცველის რეკომენდაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ. 2018 წელი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Rh2Izn> [ბოლოს ნანახია 29.08.2022].

[10] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი.“ თავი 23. ქვეთავი 23.4. ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Kn5xwk> [ბოლოს ნანახია 29.08.2022].

[11] განსაკუთრებულ სირთულეს ამ მხრივ წარმოადგენს ადაპტირებული გინეკოლოგიური სავარძლების არარსებობა. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ პუბლიკაცია თემაზე

აქვე გაცნობებთ, რომ ვაგრძელებთ მუშაობას მისაწვდომობის საკითხებზე და გამოვთქვამთ მზადყოფნას სამომავლო თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ეკატერინე სხილაძე

სახალხო დამცველის მოადგილე

.

,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში.“ 2022 წელი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CPDt3d> [ბოლოს ნანახია 29.08.2022].